ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული-დემოკრატიული პარტია

ახალი ივერია

La Nouvelle Ibérie

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

Organe de la Jeunesse Nationale Démocrate Georgienne

N 5

ა-523

მკათათვე 1932 წელი

პარიზი.

ბუნკერ ფარაძის

№ 29
ეროვნული ბიბლიოთეკა
ს-523

საქართველოს ეროვნული-დემოკრატიული პარტია

ახალი ივერია

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

მკათათვე 1932 წ. N 5 JUILLET 1932

ჟურნალი „სამშობლო" და მისი „უფროსი ახალგაზრდობა"

ჟურნალ „სამშობლომ" და მისმა „უფროსმა ახალგაზრდობამ" „ახალი ივერიის" და მის გარშემო დარაზმული ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის წინააღმდეგ იერიშები დაიწყო. ფაქტი ჩვენი და მათი დაშორებისა უკვე დიდი ხანია არსებობს.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით რომ ამ გათიშვას, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი პრინციპიალურ-ორგანიზაციულ საკითხებით იყო გამოწვეული, საერთო მონდომებით და ღონისძიებით ისე შემოევლებოდა რომ პარტიის ორგანიზაციაში მთლიანობა კიდევ აღსდგებოდა და მტერსა და მოყვარეს ყველა ეროვნულ-დემოკრატები ერთად დავხვდებოდით. ამ მოსაზრებით ჩვენ დავერიდეთ „სამშობლო" და მის ჯგუფზე არამც თუ თავ დასხმას არამედ უბრალო საჯარო კამათსაც. მართლაც ჟურნალ „ახალ ივერიაში" არ დასტამბულა არც ერთი წერილი რომელიც ამგვარი შინაარსის ყოფილიყოს.

სჩანს „სამშობლო“ და მისი „უფროსი ახალგაზრდობა“ ამავე სურ ვილებით არ ხელმძღვანელობენ. მათი გულის თქმა სულ საწინააღმდეგო მიზანს ამჟღავნებს. ეტყობა მათ უკვე გარკვეული ხაზი აუღიათ, ხაზი პარტიაში საბოლოოდ განხეთქილების ჩამოგდებისა. დაუსახავთ რა ეს მიზანი დასწრების წესით ცდილობენ საზოგადოების თვალში ჩვენ არარად გვაქციონ და ყველაფერი თითონ დაიჩემონ. რომ ეს სიმართლისა და პატიოსნების დაცვის ფარგალში მოეხდინათ არაფერს ვკადრებდით მაგრამ „სამშობლო“ შეგნებულად, სიმართლეს ღალატობს და მკითხველ საზოგადოებაში ჭორებსა და სიყალბეს ავრცელებს ამტომ ჩვენ იძულებული ვართ ამ მოკლე პასუხით საზოგადოებას საქმის ნამდვილი ვითარება გავაცნოთ.

1-ლი: „ახალი ივერია“ თავიდანვე იყო და დარჩა საზღვარ-გარეთელ ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანოდ. ამის საბუთად საკმარისია მოვიგონოთ რომ მის დაარსებაში და გამოცემაში სხვებთან ერთად ბ-ნი ალ. ასათიანიც დახმარებას გვიწევდა და პირველ ორ ნომერში მისი წერილებიც დაიბეჭდა (ფსევდონიმით); ბ-ნი პატარიძე-კი რომელიც დღეს სამშობლოს ფურცლებიდან ჩვენზე თავდასხმებს ხელმძღვანელობს ვალენტინეიდან აღფრთოვანებულ წერილებს იწერებოდა ქურ ხალის გამოსვლის გამო.

ამ დროიდან „ახალი ივერია“ როგორც ორგანო ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობისა განაგრძობს მოქმედებას. არ გაჩენილა სხვა ორგანო, ვინაიდან არ არსებობს სხვა რაიმე კვალიფიციური დაჯგუფება ეროვნულ-დემოკ. ახალგაზრდობისა. ეს იმდენად უდაოა რომ მოწინააღმდეგე ბანაკი იძულებულია რაიმე სახელი დაირქვას და ახალი ტერმინი შემოიღოს „უფროსი ახალგაზრდობა“. ტერმინი რომელიც მოკლებულია ყოველგვარ შინაარსს და ხმარებაშიაც არასოდეს ყოფილა.

ჟურნალი „სამშობლო“ რომელიც 1929 წლიდან გამოდის „ახალ ივერიას“ და ეროვნულ დემოკრ. ახალგაზრდობის ორგანიზაციას იმდენად უდაო პარტიულ მოვლენად, სთვლიდა რომ მთელი ამ წლების განმავლობაში მათ წინააღმდეგ ხმა არ ამოუღია და არ შედავებია „უფროსი“ ახალგაზრდობის სახელით. ხოლო მას შემდეგ რაც ერ.-დემ. პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციებმა და მათ შორის ახალგაზრდობის ორგანიზაციამაც „სამშობლოს“ ჯგუფთან კავშირი გასწყვიტეს და განმარტოებულმა

,,სამშობლომ'' გადაუხვია ჩვენი პარტიის საზღვარგარეთელ ორგანიზაციების 1927 წლის კონფერენციის დადგენილებებს და ნ. ჟორდანია და მისი კამარილის დაქირავებულ ორგანოდ გადაიქცა, ,,სამშობლოს'' ჯგუფისათვის საჭირო გახდა ინსინუაციებისა და სიყალბეთა შეთხზვა, რომ პარტიაში მთლიანობის დარღვევის შემდეგ ახალგაზრდათა ორგანიზაციაშიც შფოთი და რღვევა შეეტანა. სხვანაირად შეუძლებელია გაგება ბ-ნი ასათიანის მიერ ახალგაზრდობაში შემოღებული კლასიფიკაციისა.

აი ეს ხალხი ,,ახალ ივერიას'' და ეროვ.-დემოკ. პარტიულ ახალგაზრდობას პარტიის ღენერალურ ხაზიდან გადახვევას სწამებს მაშინ როდესაც ამის ჩამდენი თითონ არიან. ჩვენ არ შეგვიცვლია და არც ვაპირებთ შევიცვალოთ (მიუხედავად ბ-ნ ა. ასათიანის ცდისა.) პარტიული პოზიცია, რომელიც 1927 წლის პაოტიულმა კონფერენციამ შეიმუშავა და რომელიც თქვენ პირადი თუ ჯგუფური მარცხების შემდეგ ნ. ჟორდანიას ზლოტებზე გასცვალეთ.

თქვენ არა გაქვთ უფლება, როგორც უმნიშვნელო უმცირესობას [იხ. რეზოლუციები ქვემოდ] ან პარტიის სახელი მიითვისოთ ან მითუფრთ თქვენი ზლოტების პოლიტიკა საზოგადოებას პარტიულ პოლიტიკად გააცნოთ.

თვით ,,ყრილობის'' ფორმალური მხარის გამოსარკვევად მკითხველს ვთხოვთ ქვემოდ დასტამბული საზღვარგარეთელი ორგანიზაციების რეზოლუციები გადაიკითხოს რომლებიც ნათელყოფს, რომ არავითარი ყრილობა 1927 წელს აქეთ არა ყოფილა და ამჟღავნებს ,,უფროს ახალგ. ყრილობის'' მომწყობთა მორალურ ფიზიონომიასაც. საზღვარგარეთის ორგანიზაციებმა და თვით პარიზის ორგანიზაციამაც ამ ,ყრილობის'' მოწყობის შესახებ მხოლოდ სამშობლოს მე-11-ტე ნომრიდან გაიგეს, ამიტომ ორგანიზაციების დელეგატებიც ამ ,,ყრილობას'' ვერ დაესწრებოდა და თუ მიუხედავად ამისა ხუთიოდე კაცმა ყავახანაში მორიგ შეხვედრის დროს ,,პარტიული ყრილობა'' დაირქვეს, ჩვენ აღარ გაგვაკვირებს თუ ხვალ საქართველოს დამფუძნებელ კრებასაც დაირქმევენ.

ხოლო რაც შეეხება ,,თვით ყრილობაზე უფროს ახალგაზრდათა'' ფალავნების პერსონალურ განცხადებებს, სადაც უსინდისოდ ცილსა გვწამებენ ჩვენ შეგვიძლია მოვახსენოთ: რომ ზოგიერთთა წარსული და ამწყობ მათ პასუხის ღირსად არა ჩდის.

წარსულის დასკვნა.

ამ 11 წლის ბრძოლამ საოკუპაციო ხელისუფლებასთან დიდი პრაქტიკული გამოცდილება და უამრავი გაკვეთილები მოგვცა, საჭიროა ყოველივე ეს გამოვიყენოთ, საჭიროა ამ გრანდიოზულ ბრძოლაში მიღებული გაკვეთილები სისწორით შევაფასოთ, წარსული შეცდომები არ გავიმეოროთ და შეძლების ფარგლებში ეს შეცდომები, რომელნიც ეროვნული ღალატის ხასიათს ღებულობენ, არც სხვებს გავამეორებინოთ.

როგორი სურათი გვეშლება ამ 11 წლის ბრძოლის შემდეგ.

როგორი არის პოზიციები, როგორც ჩვენი ისე ჩვენი მტრისა. რა გამარჯვების შანსებით უპირდაპირდებით ჩვენ ერთი მეორეს?

განვიხილოთ ჯერ საბჭოების პოზიციები.

საბჭოთა ხელისუფლება მყარდება ჩვენში უცხო სახელმწიფოს სამხედრო ინტერვენციით ის ანადგურებს არამც თუ ჩვენს დამოუკიდებლობას, არამედ ყოველივე ეროვნულს: სარწმუნოებას, ოჯახს, და საუკუნოებით გამომუშავებულ ტრადიციებს, თავის დოკტრინით ის უცხოა თავისუფალ ქართველი კაცის ბუნებისათვის; აქედან გამომდინარეობს შეურიგებელი დაპირისპირება ქართველ ერისა და საოკუპაციო ხელისუფლებას შორის.

საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობა არასოდეს იყო და არც ეხლა არის სახარბიელო, ის ქრონიკულ კარანტინშია მოთავსებული და ამ კარანტინიდან გამოსვლას ვერ ახერხებს. მას და მის აგენტებს, ყველა ერიდება როგორც კეთროვანებას. ის მუდამ თავდასხმის მოლოდინშია.

მისი შინაური მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო და არის დღესაც: გაუთავებელი ტეროორი და აქედან გამომდინარე ჩეკის კულტი, დრო გამოშვებით კატასტროფიული დიმანსიის შიმშილი; მატერიალური და სულიერი ბანკროტი; დასასრულს, თვით პარტიის წიაღში ამტყდარი შინაური ბრძოლა, რომელმაც დიდი ხანია შინაური ხასიათი დაკარგა

მისი შინაური ძლიერება.

მაშასადამე: რუსეთის ტერიტორიაზედ მომხდარი სოციალური მოვლენის საქართველოში გადმოტანა; ამ ნიადაგზედ ის საშინელი თავგანწირული ბრძოლა, რომელიც 11 წელიწადი გრძელდება 2] რუსეთის მეტად

ვაგლახი საერთაშორისო მდგომარეობა და 3] მისი მეტად ღრმა შინაური კრიზისი. აი ის აკტივი, რომლითაც მტერი გამოდის.

ეხლა განვიხილოთ თუ როგორია ჩვენი მდგომარეობა.

ჩვენი ერი უთუოდ დაღლილი არის იმ აუარებელი სხვერპლის და სისხლის დინების შემდეგ, რომელიც მან გამოიარა ამ 11 წლის უთანას წორო ბრძოლის განმავლობაში. მისი შანსები გაცილებით უფრო ძლიერი იყო დაწყებისას და მაშინ რომ ხელმძღვანელობას გონიერება გამოეჩინა, ბრძოლის მოგება შესაძლებელი იყო.

მაგრამ ამ ფიზიკური მოღლის სანაზღაუროდ მას მოემატა სულის სიმტკიცე, ეროვნული შეგნება და შეურიგებლობა მტერთან გადაიქცა მისი სულიერი ყოფის აუღებლ ბასტიონად. მან შეიმოსა სიბრძნე სიფხიზლისა ბრძოლის გამოცხადებისა და იარაღის შერჩევის საქმეში.

მაშასადამე 1) ფიზიკური შესვენება. 2] სულიერი სიმტკიცე და მტერთან შეურიგებლობის განმტკიცება აი ჩვენი შანსები.

როგორც ვხედავთ საერთო მდგომარეობა იმედისა და მიზნის მიღწევის უფლებასგვაძლევს, ოღონდ საჭიროა ამ პერსპექტივის ფონზე ჩვენს ხელთ მყოფ შესაძლებლობათა მეტის სიფრთხილით გამოყენება, პატარა შეცდომა გამოუსწორებელ უბედურებას დაგვატეხს თავზედ, ამიტომ საჭიროა მოხდეს ქართული ანტი საბჭოთა ძალების გადასინჯვა, მათი წარსული მოღვაწეობის შეფასება და ამ მოღვაწეობის შეფასების მიხედვით მათთან ერთად ბრძოლის გაგრძელების ან დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტა.

ჩვენ ამ ჟამად გვაინტერესებს სოც. დემოკრატია, ეროვნული საქმიანობის ნომინალური მონაწილე. რას წარმოადგენს ეს პარტია, როგორც ეროვნულ ბრძოლაში მონაწილე ელემენტი? რა გააკეთა მან? ჩვენი ერის უბედურმა ხვედრმა სწორედ ამ პარტიას არგუნა სამი წლის დამოუკიდებელი ცხოვრების გაძღოლა, რატომ? განა ეროვნული ცხოვრების მოწყობის სურვილი ჰქონდათ მის ხელმძღვანელობას? ან და დოკტრინალურად სწამდათ ერი, სამშობლო და მისი გარდაუვალი ინტერესები?

არა! და უბედურებაც სწორედ ამაში არის. ეს ის პარტია გახლავთ, რომელმაც ენა-ბლუებიც კი აამეტყველა ეროვნების, როგორც მცნების და როგორც მოვლენის წინააღმდეგ. ეს ის მიმდინარეობა არის,

რომელმაც თავისი საკუთარი სისხლის სამართლის კოდექსი შეიმუშავა და ამ კოდექსიდან განდევნა ისეთი მუხლები, როგორც მაგალითად: ქურდობის, ყაჩაღობის მტაცებლობის და მკვლელობის დასჯის, მაგრამ ამის მაგივრად აღმოაჩინა „უდიდესი დანაშაული", რომლისათვისაც დასჯა პირველ მუხლში მოაქცია და რა იყო ეს „დანაშაული", რომლისთვისაც ყოველ მოქალაქეს უზენაესი სასჯელი უნდა მიეღო?

სამშობლოს სიყვარული. სამშობლოს მსახურება.

რა მოხდა. რომ ეს ხალხი, როგორც კი მოსკოვში ბოლშევიკური ხელისუფლება გამოცხადდა, საქართველოს დამოუკიდებლობას დაებღა უჭა? სასწაული მოხდა და მიხვდნენ თავიანთი კრიმინალური მოღვაწეობის საზიზღროებას? არა, არა...

ამის საკმაო საბუთი მათი ლიდერების განცხადებებია, და სხვას რომ თავი დავანებოთ, მათი რედაქციით შედგენილი დამოუკიდებლობის აქტი მატერიალური საბუთია ჩვენი აზრის დამამტკიცებელი: „რუსეთი წავიდა იძულებული ვართ დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთო."

მივაქციოთ ორ გარემოებას ყურადღება; 1. რუსეთი, რომ არ წასულიყო და 2. მოსკოვში ლენინის მაგივრათ კომისართა საბჭოს თავჯდომარე მარტოვი ან აბრამოვიჩი ყოფილიყო მაშინ რას იზამდენ?..

უნდა გვიხაროდეს რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვება, თორემ და მოუკიდებლობას ვერც სამი წლით ვიხილავდით ან რუსეთის წითელ არმიას (მენშევიკურს] მდივანი-მახარაძეს მაგივრათ ბატ. ნოე ჟორდანია შემოუძღვებოდა.

უფლება გვქონდა გვეფიქრა. რომ 3 წლის დამოუკიდებლობამ ქართველი მენშევიკები საბოლოდ ეროვნულ ბანაკში მოაქცია, მერე კიდევ 11 წლის ბრძოლა; ეს ორი მოვლენა უთუოდ დიდი გარდაქმნელი ღირსები საა და შესაძლებელი იყო მათ ამ ხალხის გარდაქმნაც მოეხერხებია და მერე მოხდა კი ეს?

მთელი მათ მიერ ამ ხნის განმავლობაში წარმოებული პრაქტიკული პოლიტიკა სწორედ საწინააღმდეგოს გვეუბნება: როგორია ეს პრაქტიკული პოლიტიკა. „ეროვნული" მთავრობის თავჯდომარე ლენინს დეპეშას უგზავნის „ერთად ვაკეთოთ სოციალიზმის საქმეო", ამავე დროს საქართველოს კათალიკოზს უდიერი სიტყვებით კაბინეტიდან კარში ის-

ტუმრებს, 7 მაისის ხელშეკრულებით დარიალს ანეიტრალებს, ბოლშევიკებს კარებს უღებს, ინგლისის ჯარების გამოსადენად დიდ კამპანიას აწარმოებს. ხელისუფლება სოციალურ-გლეჯას აკანონებს.

შედეგად აგეთი ბარაქიანი პოლიტიკისა ჟორდანიას მთავრობა ერს და მოუკიდებლობას უკარგავს. ეს უკანასკნელი ტრაგედია, რომელიც ქართველმა ხალხმა მძიმედ განიცადა, უთუოდ მენშევიკურმა მასამაც განიცადა. იგი მიხვდა იმ საშინელ დანაშაულს, რომელიც მისმა უპასუხისმგებლო ხელმძღვანელებმა მას ჩაადენინეს და ეროვნულ ბრძოლაში ჩაება თავისი შეცდომისა და მისი ხელმძღვანელების ცოდვათა გამოსასყიდად. რით უპასუხებს ამას ევროპაში მთავრობის სახით გამოქცეული მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა. ის ეროვნულ ბრძოლის შესუსტებას ცდილობს, გზავნის ბრძანებებს საქართველოში, რომ მათმა ამხანაგებმა ბოლშევიკებთან ერთად ებრძოლონ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოძრაობას, როგორც „თავად-აზნაურულს", წინააღმდეგია საერთო ბრძოლის და როდესაც ამ ბრძოლაში დისონანსის შეტანას ვერ ახერხებს, რომ დესაც ხედავს, რომ მისი მასსა სოციალიზმს ერს არჩევს სჩადის უდიდეს და უსაზიზღრეს დანაშაულს, ყალბი ინფორმაციათა ფანტასტიური დაპირებებით ხელს უწყობს და იწვევს 1924 წლის აჯანყებას.

უხვად დაქცეულ უმანკო სისხლს მაინც უნდა გარდაექმნა ეს ხალხი ამის შემდეგ მაინც უნდა მომხდარიყო მათში დიდი ფსიქოლოგიური მეტამორფოზა, ამ დამარცხების შემდეგ მაინც უნდა ამაღლებულიყო ეს ხალხი ეროვნულ კატასტროფის გაგების სიმაღლემდე და ეროვნული ნეკტარის ზიარება მიეღოთ. მაგრამ პირდაპირ გასაოცარი და კრიმინალური ცინიზმის მოწმენი ვხდებით, შეუკავებელი სიხარული მომხდარი ამბის გამო; დანთხეული სისხლი ევროპის ბაზარზედ გააქვთ და იქ ჰყიდიან. არც ერთი კანონმდებელს აგეთი დანაშაული არ აქვს წარმოდგენილი. არც ერთ ენაზედ არ არსებობს ასეთი მოვლენის სიტყვიერი გამოსახულება: ეროვნული ღალატი მეტად ღარიბი გამოთქმა არის ამ უმგზავსობის კვალიფიკაციისთვის და უთუოდ ისტორია დიდის პატივისცემით მოიხსენიებს ბ-ნ ირაკლი წერეთელს, რომ აგეთი ხალხისაგან პასიურად მაინც გაიმიჯნა; თავი რომ დავანებოთ წერეთელ-არსენიძეს ოპოზიციის რუსულ ორიენტაციას, ჩვენის გაგებით და რწმენით ანტი-ეროვნულს ირაკლი წერეთე

ლი და მისი ჯგუფი მარქსისტული დოკტრინის ტუსაღები იქნებიან ისტორიისათვის, მაგრამ არასოდეს სისხლის სამართლის დამნაშავენი.

ყოველივე ამის შემდეგ განა შესაძლებელია, რომ ეს პარტია მისი დღევანდელი სულის ჩამდგმელთა სახით წარმოვიდგინოთ, როგორც ეროვნული ბრძოლის საღი და საჭირო ელემენტი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა.

ამ ბრძოლასთან ის არ არის სულიერ და იდეურ ნათესაობაში, ეს ხალხი არც თავისი წარსულით, არც თავისი მოძღვრებით არ აკმაყოფილებს ეროვნულ ბრძოლის ელემენტალურ პირობებს და მას არც ამისათვის სცალიან.

დაბეზღება, სხვისი გალანძღვა, გათრევა, ჭორების და ყალბი მოწმეების ფაბრიკაცია ეს მათ დროს საკმაოდ იკავებს და მათთვის ღირსეულ სამოღვაწეო არესაც წარმოადგენს, ქართველმა პოლიტიკურმა წრეებმა უნდა შეაფასონ მათი ამგვარი მოღვაწეობა, უნდა შეაფასოს იგი თვით მენშევიკურმა ფართო მასამაც და მას საჭირო დასკვნაც გაუკეთოს.

ჩვენის აზრით, დროც არის ამდენის ცდების შემდეგ ამ წრეს მაგარი რკალი შემოვარტყათ, ეროვნული ბრძოლის წარმატებით წარმოებისათვის საჭიროა ეროვნული ბრძოლის ორგანიზაცია ამ წრის გარეშე; ამ ბრძოლაში ჩვენ ვუპირდაპირდებით ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც თავის წარმოშობით ბოლშევიკებთან ახლო ნათესაობაშია, ,,ქართული ანდაზა მოვიგონოთ ,,ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს''.

საჭიროა ჩვენ შორის გარკვეული ხაზი გავავლოთ და ეს ხაზი არც ჩვენ გადავლახოთ და არც მათ გადავალახვინოთ. არ უნდა განმეორდეს ისეთი შემთხვევა რომ ,,ძველი და ახალი მემკვიდრეობა'' დასწეროდ და შემდეგ ,,ფრონტის'' კარებს მიაშურო, თითქოს აქ არაფერიაო სხვას რომ თავი დავანებოთ, ასეთი ქცევა დამერწმუნებით დიდი მორალური ღირსების არ არის.

ბოლშევიკებთან ბრძოლა საჭიროებს ეროვნულად აღტკინებულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა მთლიანობას, მაგრამ საჭიროა ამ მთლიანობაში შემავალ როგორც ჯგუფთა ისე პიროვნებათა შერჩევა, ყოველი შემავალი ნაწილი უნდა იყოს დარწმუნებული იმაში რომ მას აქ მსხვერპლი მოაქვს და პირად თუ ჯგუფურ სარგებლობას არ ეძებს, ამ მთლიანობაში არ უნდა იქმნეს დაშვებული ამავე მთლიანობის დამშლელი ელე

მენტი.

უნდა გათავდეს მენშევიკური პარტიის გამოცდის ან მათი ეროვნულ გზაზედ გადმოყვანის ილუზიები. ქართველმა საზოგადოებრივმა აზრმა ღირსეულად უნდა შეაფასოს ის იაფ ფასიანი მენშევიკური დემონსტრაციები, როგორც მაგალითად: მორალურად განიარაღებულ ადამიანის განიარაღების კონფერენციაზედ გაგზავნა, ჩვენ ისედაც დიდი ხანია განიარაღებული ვართ და დაპყრობილნიც ან და ისეთ ბუნების ნაცოდვილარ კოსტია გვარჯალაძის მეტად უნიჭო (ვინ სთქვა სახე ინტელეკტის ღირსებას არ გამოხატავსო) კონცერტები მეორე ინტერნაციონალის ქანდარაზედ. სინამდვილეს პირდაპირ შევხედოთ, ერისათვის მებრძოლთა რიგები დავსწმინდოთ და ჯანსაღი ძალით მივიტანოთ იერიში იმ სიმაგრეზედ, რომელსაც ჩაქუჩით და ნამგალით იცავენ.

გ. გეგელია.

ბოროტი პროვოკაცია!

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმა ჩვენად წინამძღვრად
ჩვენი ცხოვრების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?

,,ბრძოლის ხმის'' ნოემბრის ნომერში აშკარა მოწოდებაა ს. კედიას მკვლელობისადმი! წერილში ,,რა გამოირკვა'' შემდეგი აზრია გატარებული: საფრანგეთის სასამართლომ და ადმინისტრაციამ დასაჯა ნ. რამიშვილის მკვლელი, როგორც მტერი ყორდანიას ჯგუფისა; გაამართლა გრ. ვეშაპელის მკვლელი, როგორც მეგობარი და პარტიული ამხანაგი ყორდანიას წრისა; ხოლო ეხლა-კი სპ. კედია ყოფილა ისეთივე მტერი ყორდანიას ჯგუფისა. როგორიც იყო თურმე ბრ. ვეშაპელი, რომლის მკვლელობა საფრანგეთის სასამართლომ გაამართლაო. შემდეგ: ,,სამარცხვინო ბოძზე გაკვრა'' და ზნეობრივი ტეროორი კი ეხლავე უნდა ვაწარმოოთო! ამ წეოილმა ბევრი რამ მართლაც ,,გამოარკვია''!

პირველი: როგორიც არ უნდა იყოს ფრანგული სასამართლოს განაჩენი, ზნეობრივი ტეროორი მაინც არის მენშევიკებში; ამას ამტკიცებდა მენშევიკი ჭანუკვაძე და მას ადასტურებს ყორდანიას გაზეთიც. ხოლო მის დასჯას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყორდანიას ჯგუფი ეხლა აშკარად და-

საჯაროდ აწარმოებს იმ ტეროორს, რომელსაც აქამომდე ფარულად მისდევდა.

მეორე: გაშიშვლებული, უტიფარი პროვოკაცია ამ წერილის შინაარსისა ცხად ჰყოფს ბოროტ განზრახვას და აშკარად მოითხოვს ახალს მკვლელობას. აქედან ცხადია, რომ ის ძველი მკვლელობებიც გრ. ვეშაპელისა და რამიშვილისა ღვიძლი შვილია, აშკარა და ლოდიკური შედეგი ნ. ქორდანიას ჯგუფის სულისკვეთებისა! და მართლაც; ვეშაპელის მკვლელიცა და რამიშვილის მკვლელიც ქორდანიას ჯგუფის წევრები არიან, მის პარტიული ამხანაგები! „სამარცხვინო ბოძზე" დიდი ხანია გაკრულია ქორდანიას მენშევიზმი! ის სამუდამოდ დარჩება ამ ბოძზე მთელი ისტორიის სამაგალითოდ. ეს ისტორიის მსჯავრი გამოტანილია და ასრულებულიც!

ხოლო ის ბოძი, რომელსაც დაამშვენებენ საქ. ეროვ. დემ. პ-ს ხელმღვანელნი წევრნი თუ ლიდერები, მუდამ იქნება ქართველი ერისათვის ხსნისა და იმედისა, გამარჯვებისა და უშრეტი სასოების სიმბოლოდ ისე, როგორც ქრისტეს ჯვარი გახდა სიმბოლოდ საკაცობრიო ხსნისა და გამარჯვებისა! ყოველი ჩვენი პარტიული მეგობარი მზადაა ატაროს ეკლის გვირგვინი, მძიმე ჯვარი ტანჯვათა, წამებათა, დევნათა და დამცირებათა, ოღონდ გზა ხსნისა გავუადვილოთ ჩვენს ერს, ჩვენს ხალხს ეგზომ დაღალატიანებულს, გაუბედურებულს და დაღუპულს ნ. ქორდანიას ბოროტი ჯგუფისაგან!

არა მარტო ჭანუკვაძეა დამნაშავე ნ. რამიშვილის მკვლელობაში, ისე როგორც ჯაში მარტო არ იყო დამნაშავე ილიას ტრაგედიაში, არამედ ნ. ქორდანიას ჯგუფის ამორალობაა ორთავე მკვლელობისა და მათ შორის მდებარე ბოროტმოქმედებათა ზნეობრივი პასუხის მგებელი. ჭანუკვაძის სახით დასაჯეს მხოლოდ შეუგნებელი იარადი, მაგრამ დაუსჯელი დარჩა მისი ამამოძრავებელი ბოროტი სული!

სახელოვანი კიტა აბაშიძე და ხხვანი არა ერთხელ ამხელდენ ნ. ქორდანიას: *) ილიას ზნეობრივი მკვლელი შენა ხარო, რაზედაც ცინი-

---

*) უადგილობის გამო მოვიხსენიებ მხოლოდ რამოდენიმე ფაქტებს; დანარჩენთ შემდეგ წერილში!

კური პასუხი იყო ,,რევოლუციაა, ხესა სჭრიან, ნაფოტი ცვივ ვაო! ბ-ნმა კიტამ ყორდანიას იეზუიტური სული და საქციელი მრავალჯერ აღნიშნა ,,სახალხო საქმეში'' და მას ჩუმი კავშირი უყი ყინა რუსეთის ადმინისტრაციასთან,—ადმინისტრაცია გეხმარება ყველა არჩევნებში და კიდევ მეტი იარაღსაც კი განდობსო; თუ რევოლუციო ნერი ხართ, ადმინისტრაცია იარაღს როგორ განდობთო!?

ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვთა შორის ყველაზე მკაცრი, პატივმოყვარე, ტახტის მოტრფიალე იყო: აი, ამ ნიკ. ნიკ-ძემ მთელს კავკასიაში ვერავინ ნახა ნ. ყორდანიას მეტი, რომელსაც გაენდო შემდეგი მორიგებით: მე რუსეთს წავალ, შენ აქ ძალაუფლება მიიღეო! კონტეს რა ძივილის მემუარებს ვინც იცნობს, იტყვის, რომეს ფანდი განმეორებაა პრუსიელთა მოქმედებისა ვარშავაში რუსეთ-პრუსიის ომის დროს: ვარშავის დაცლისას ძალაუფლება პრუსიელებმა თავიანთ ერთგულ სადამომხრე ელემენტს ჩააბარეს;

ნ. ყორდანიას პოზიცია დახასიათდება განსაკუთრებით ორეოფობით და დაუზოგველობით, ცნობილია მისი პროტუსული და ანტიქართული პოზიცია: ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ მენშევიკების საზ..გადო კრება უნდა მომხდარიყო. ხოლო კრების წინ ნ. ყორდანიამ ჩამოიარა ყველა დაბა-ქალაქი რკინის გზის ლიანდგის გასწვრივ და ქადაგობდა დამოუკიდებლობა რეაქციას ნიშმავს, ჩვენს, ს. დ. პ-ს დამხობასო, მას ყველგან ერთი პასუხი მისცეს: გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობაო! იცით ამის შემდეგ რას კითხულობდა? მისი პირველი კითხვა იყო. ,,ა. ჩხენკელი ხომ არ ყოფილა აქო?!'' პარტიის კრებაზე ერთხმად იყო მიღებული დამოუკიდებლობა. თავი შეიკავა ორმა! იეზუიტობა და ორეოფობა ვერაგობაში გადადის! ,ყორდანიამ ორიოდე თვეც ვერ მოითმინა და ვერ შეიგუა, რომ პირველ მთავრობაში არ მოხვდა. არ მოისვენა მინამ ნ. რამიშვილის მაგიერ თვითონ არ გახდა მთავრობის თავჯდომარე.

ჩემთვის ცნობილია ინტრიგები დაკულისებში დრტვინვა ყორდანიასი, რომელიც წინუძღოდა მის გამინისტრებას. ხოლო ბერლინში ნ. რამიშვილისაგან ბევრჯელ გავიგონე: ,,კი სჯობდა, რომ სხვა იყოს მთავრობის თავმჯდომარე, მარა რას იზამო''! დაახლოვებით

ამგვარი ცნობა რამიშვილისაგან აქვს ბ-ნ შ. ამირეჯიბს, და ვთხოვ მას, საჯაროთ სთქვას სიმართლე და ჭეშმარიტება. ყორდანიას ვერაგი იეზუიტობა ბრიყვთათვისაც გასაგები იქნება.

ნ. ყ-იას ერთ-ერთი იარაღი ბრძოლაში არის დაბეზღება, მალული,—ან ახდილი, თუ ძალიან არ ეშინია რევოლუციის დროს! მაგ. ცნობილია მისი უტიფარი დაბეზღება კ. აბაშიძისა დროებით მთავრობასთან პეტროგრადში; კ. ა-ძე სოციალიზმის მტერიაო! ასეთი სიყალბე მოწმობს სრულს უსინიდისობას, უკულტურობასაც და ბოროტებასაც, რადგან ბ-ნი კიტა მუდამ იდეალური მომხრე იყო სოციალიზმის და ბევრიც გააკეთა ჟირათურის მუშებისათვის, ხოლო ის ცხოვრობდა რო გორც პარატიზი სუბსიდიებით და „პარტიული გადასახადებით", და მუშებისითვის მას ფაქტიურად არას დროს არაფერი გაუკეთებია!

ბერლინის პროცესში ყორდანიას ჯგუფი მათხოვრობდა: მოგვეცით რაიმე ქაღალდი, რომ ჩვენ არ ვურევივართ მაგ საქმეშიო და თანაც აბე ზღებდა ჩვენი მიმართულების პირთ უტიფარ ფორმით და სრული სიც რუეთა და სიყალბით. საამისო დოკუმენტი წარუგზავნეს კიდეც ბ-ნ სპ. კედიას და ის მ ი ს ხ ე ლ თ არის დ ღ ე ს ა ც. როცა ჩერვონცებზე ლაპარაკობს ყორდანიას გაზეთი, გაიხსენოს, რომ „ჩერვონცების ნაშხეფი" დოსიებში უფრო მენშევიკებს სწვდა და ბ-ნმა შ. ქარუმიძემ ჯერ უკანასკნელი სიტყვა არა სთქვა!

თავის დროზე მე უკვე ვამცნე ქართულ ემიგრაციას, რომ ყორდანიას ჯგუფი ბერლინის პროცესის დროს კაპკაპივით იმეორებდა ბოლშევიკების სიტყვებს, იდგა და იცავდა ბოლშევიკურ პლატფორმას და ეხმარებოდა რუსეთის ბოლშევიკებს ქართველთა წინააღმდეგ; ხოლო ნ. ყორდანიას აშკარა ბოლშევიკურ-კომუნისტური წერილები „ბრძოლის ხმაში", მისი იდეალი და ქადაგი „პერმანენტულ რევოლიუციის" სასარგებლოთ,—მოწმობს ვისკენაა პოტენციაში ყორდანია, უკვე ცნობილი თავისი ორჭოფობითა და ეზუიტობით, რაც აღნიშნულია უცხოეთის პრესაში, ხოლო ქართულში კი თავიდანვე ცნობილი იყო.

საზოგადო ზიზღი და სიძულვილი თან სდევდა ბოროტ სულს, თკით რევოლიუციის დასაწყისშიაც: ეროვნულ საბჭოს კრება იყო თბი

ლისის სათავადაზნაურო საკრებულოში. ქორდანიამ არ დააკმაყოფილა დამსწრენი; უნდოდა ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების გიჟიანურება. ხალხი ადრტვინდა, დაჰკრა კიჟინა: „მოღალატე!“ და სხ. უფრო მაგარი სიტყვები ჰაერში გაშვერილ მუჭებით დამაფიქრებელ გარემოებას ქმნიდა და მანას „მოკურცხლა“, მაგრამ უკანა კარებთან, клубის ეზოში უფრო საგრძნობი ძალა დახვდა: ორიოდე ჩოხოსანი.

ხოლო აღელვებულ ხალხს დარბაზში, რომელიც მოითხოვდა: „მოგვეცით ქორდანია; ბოდიში მოიხადოს თუ არა ჩვენ ვიცითო“, აი ამ ხალხს ამშვიდებდა სკამზე შემდგარი შ. ამირეჯიბი, რომელსაც ქორდანიამ ვარშავაში „თავაზიანი მადლობა გადაუხადა“. ის ინციდენტი ასე დამთავრდა: ქორდანიამ უკან წაიღო თავისი უტაქტო სიტყვები! დამახასიათებელია: რომ მათ მუდამ „პროვოკაცია“ და „პროვოკატორი“ ახსოვთ, არას დროს არ დაავიწყდებათ! ბათუმში გემებს ტვირთავდენ, საემიგრაციოდ ემზადებოდენ. მე ვცხოვრობდი ერთ ს. დემოკრატთან, გვარდიელთან, რომელიც მენდობოდა, მასაც ვენდობოდი. ერთხელ დილით შემოვარდა: „ქორდანიას მთელი მთავრობა გვინდა დავიჭიროთ. სად მიეთრევიან? გაგვცეს, დაგვალალატიანეს, დაგვღუპეს და ახლა ევროპაში მიდიან?“ სიტყვა ჩამოვართვი არ გარეულიყო ამ ბინძურ საქმეში. მითხრა ვინც იყო მეთაური. სპირიდონს ვუამბე. საშინელი სიმკაცრით დაჰგმო. თავქუდმოგლეჯილი ვამხილეთ და ვიცხეთ ის ხალხი. თუ ახლა ეს ჯგუფი სამშვიდობოსაა—ეს მეტ-ნაკლებობით ბ-ნ სპ. კედიასაც დაუმადლონ! მაგრამ კრიმინალურ ბუნებას რა უნდა მოსთხოვო?!

დაბოლოს, ვინაა ავტორი იმ პროვოკატორულ წერილის? იგი ლა ჩრულად ხელმოუწერელია! მაგრამ ეს წერილი და ორივე წერილი მის წინ,—ერთი ავტორისაა: ერთი აზრი, ერთი გრძნობა, ერთი ხელია! ავტორის ვინაობას ყოველი ქართველი იცნობს. ეს იცის ყოველმა ბავშვმა! ამიტომ მე მას დღეს არ ვასახელებ, მაგრამ ხვალ დავასახელებ—რომ ეს უცხოელმაც გაიგოს. ახლა კი ჩვენ პრაქტიკულად უნდა მივმართოთ თავდაცვისათვის სასამართლოს: მართალია აქვს ქორდანიას ჯგუფს ისეთი ვერდიქტი, რომ ტეროორი აწარმოოს საფრანგეთის ტერიტორიაზე?!

შემდეგ, ეს პროვოკატორული წერილი 1927 წლის „მენშევიკურ დოკუმენტი“ თურთ, სათანადო განმარტებით უნდა დავუგზავნოთ ევროპის უმთავრეს სოციალისტურ პარტიებს, მეორე ინტერნაციონალს და მოვითხოვოთ მსჯავრი: დასაშვებია თუ არა სოციალისტურ წრეებისათვის ევროპაში ეგზომი პროვოკატოროობა და ბოროტმოქმედება.

აქამდე ვერ გაუგიათ და მაშინ იგრძნობენ თუ რა სამარცხვინო ბოძ ზე არიან გაკრულნი! ხოლო ემიგრაციაში? დეე, ყოველმა ჩვეხგანმა თვი თონ გაარჩიოს საფლავის მყრალი ლეში წარსულისა, უბიწო ცოცხალ მომავლისაგან!

ტ. მარგველაშვილი.

მენშევიკების მორიგი პროვოკაცია.

„აფსუს სამართლიანად თავმოწონებულო პრესავ, რომ შენი დიდებული სარბიელი მყრალ გუბედ გაუხდიათ და საცა პატიოსანი ჭკუა და წმინდა გული უნდა ხელმწიფობდეს ჭია-ღუა ბეზღობისა ჭყუპალაობს და თავის ბუდეს იკეთებს“ ო სწერდა ილია ჭავჭავაძე (იხ. ილია. ტომი IX. ნუ თუ?] ნ. ყორდანიას გაზეთზე ამ საუკუნის დასაწყისში, მაგრამ შემ დეგ მენშევიკურმა პრესამ საკმაო პროგრესი გააკეთა და მათდა სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ „ბრძოლის ხმა“ და „დამოუკ. საქართველო“ს ნოემბრის ნომრები პროვოკაციისა, ცილის-წამების და სიყალბის შეთხზვაში სარეკორდო მიღწევას წარმოადგენენ, ყველა დღემდე გამო სულ მენშევიკურ ფურცელთა შორისაც.

ეს ნომრები მუდამ დარჩება სანიმუშოდ უპასუხისმგებლობის, პო ლიტიკური უზნეობის და ჭუჩური აღვირწახსნილობის მხრივ. მაგრამ ნა თქვამია „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო“ და ჩვენც ქართველ მენშევიკებისაგან და კერძოთ ნ. ყორდანიასაგან უკეთესს არა ფერს მოველოდით და სასიამოვნოდაც მიგვაჩნია რომ ქარველ საზოგა დოების წინაშე თავი თვითვე გაიშიშვლეს და თავიანთი მორალური სი მახინჯე კიდევ ერთხელ გამოამზეურეს.

საკმაოდ ცნობილია, რომ ეროვნული მოღვაწეების გავლენისა და სახელის გასატეხად ნ. ყორდანიამ და მისმა ხალხმა, „სამოღვაწეო“ ასპა რეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე, ხმარებაში ჯაშუშობა, დაბეზღება,

პროვოკაციები და სხვა ამგვარი უზნეო საშუალებანი შემოიღეს.

,,არავითარ საზიზღარ ცილისწამებას არ ჰთაკილობს ოღონდ-კი ᲭᲣᲭᲧᲘ რამ მოსცხოს მის არამასიამოვნებელს და არა თანამოაზრესო'' ამ-ბობდა ილია [იხ. იქვე.) და ამ დროიდან მოყოლეუბლი ერთი მოღვაწეც არ დარჩენილა რომლისთვისაც ქორდანიასა და მის დამქაშებს არ ეჯა-შუშათ, პროვოკაცია არ მოეწყოთ და ლაფი არ შეესხათ. გასული ნოემ ბრის მორიგი გამოსვლაც მოულოდნელი აოაფრით იყო, რადგან ,,ქინი შუ რისგებისა, როგორც ყოველივე სხვა უწმაწური ქინი ძნელად თავდასა ᲭᲔᲠᲘᲐ რაკი კაცს შესჩვევია'' [ილია. იქვე] მაგრამ ქორდანიას ამ გამო სვლამ ერთი დადებითი შედეგიც მოიტანა: ქართველი იმიგრაციაა საბოლო ოდ დაარწმუნა, რომ ამ ხალხის გარდაქმნა შეუძლებელი საქმეა და რომ ყველა იმ ბოროტების საწყისი, რომელიც მენშევიკების ბანაკში ისახე ბა, თვით ქორდანიაა. იგია სათავე იმ წყაროსი. საიდანაც ქართველ სა-ზოგადოებას ასე უხვად ეფინება ბოროტი ინსინუაციები, უზნეო პროვო კაციები და საერთოდ ყველა სახის საზოგადოებრივი გახრწნის სახადი.

ბ-ნ სპირიდონ კედიაზე ამ ხალხის მიერ უკანასკნელად მოტანილი უზნეო იერიში მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ს ა თ ვ ი ს რ ო მ ი ს ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო მ მ ო წ მ ე დ დ ა ი ბ ა რ ა ბევრ რამეს მოწმობს: პირველ ყოვლისა მათ ზო ოლოგიურ შიშს ზნეობრივი სიმტკიცისა და პოლიტიკური იდეურობის განმასახიერებელ, რაინდული პირდაპირობის მქონე ადამიანის წინაშე ეს მორიგი საზიზღარი იერიში არის ბრძოლის გამოცხადება მთელ ერო ვნულ-პატრიოტულ საქართველოსთან და უცხოეთში-კი ემიგრაციის იმ ნაწილთან, რომელმაც ბ-ნ სპ. კედიას მეთაურობით დაჰგმო ქორდა-ნიას პოლიტიკა, მისი პროვოკაციული საქმენი და მათთან ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა. ეს იერიში ნათლად მოწმობს იმასაც რომ ორგანი ზაციულად დაშლილ, და იდეურად გაკოტრებულ მენშევიზმსა და მის ბე ლად ქორდანიას სურვილი აქვთ თავის მსხვერპლს—ბედშავ საქაროვი-ლოს—სიკვდილის წინ განსაკუთრებით მწარედ უკბინონ მაგრამ ეროვ ნულ-პატრიოტული საქართველო ამ ბოროტ განზრახვას ღირსეულად უხვდება—ჩვენ მხათა ვართ ბრძოლა მივიღოთ;

მხოლოდ საინტერესოა ვიცოდეთ: რას ფიქრობდა ამ უზნეობის ფაბრიკაციის დროსრუსეთის მეფის ოხრანკისა და ᲟᲐᲜᲓᲐᲠᲛᲔᲠᲘᲘᲡ არჩი-

ვის გმირი? ეტყობა მას ეს ამბავი დავიწყებული ჰგონია და დიდგულად „კედიას ამქარი“ს „ბოძზე გაკვრა“ს მოითხოვს. იქნებ ისიც გვითხრას, თუ სადა სურს ბოძზე გაკვრას, ხომ არ ინებებს ეს ბოძიც საგურამოზე აღ მართოს? ამ კითხვებზე პასუხი ნ. ქორდანიას ეკუთვნის. ჩვენ-კი საჭი როდ მიგვაჩნია ჩვეს მკითხველს საქმის ფაქტიური მხარე გავაცნოთ.

რამ გამოიწვია ეს უზნეო თავდასხმა, რა იყო მიზეზი?—ამის ნამდვილი მიზეზი მის ავტორთა ბუნებაში მარხია: ეს არის მათი სულიერი მოთხოვნილება, რომ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად პროვოკაციები აწყონ და უზნეო ჭორები ავრცელონ, საბაბად-კი გამოიყენეს ის გარემოება რომ ბ-ნი სპ. კედია, ისევე როგორც ევგ. გეგეჭკორი და ალ. ასათიანი. ჭანუკვაძემ თავის მოწმედ დაასახელა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა სამი დღით ავადმყოფობის მოგონება არჩიეს და სასამართლოში არ გამოცხადებულან—ეტყობა ასე ესმის ბ-ნ მინისტრსა და მის იმიტატორს მოქალაქეობრივი მოვალეობა სასამართლოსა და საზოგადოების წინაშე. ბ-ნი სპ. კედია-კი „ავად არ გამხდარა“ და თავის მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელად სასამართლოში მოწმედ გამოცხადდა. ამისათვის მასზე თავდასხმა მხოლოდ იმათ შეუძლიანთ ვინც თავიანთი ბნელი საქმიანობის გამომჟღავნების შიშით ძრწიან და გაურბიან სიმართლესა და სამართალ ს. ბ ნ სპ. კედიას ჩვენება არ მიუცია მაგრამ ნ. ქორდანია გულთმისანი ყოფილა, მას დაუნახავს ბ-ნ კედიას გულის ნადები და დაჰკრა ბუკი და ნაღარა: ეგ ჩვენი მტერია, დაჰკათ მაგას, ბოძზე გააკარითო, თანაც აქეზებს თავის კრიმინალებს, ნუ შეშინდებით, ჩვენი მტრის მოკვლისათვის საფრანგეთის სასამართლო არ დაგსჯით—ვეშაპელის მკვლელი გაანთავისუფლესო.

მისმა დაქირავებულმა კალმოსნებმაც არ დააყოვნეს და რომ ნასი ამოვნებ პატრონს მეტი გამოსცეცქნონ წრიპინი მოართეს: მკვლელობას, ტეროორს იცავენო“, მაშინ როდესაც ბ-ნი კედიას მთელი ცარსული იშვიათის სიცხადით ჰღაღადებს რომ ის შეურიგებელი მეცხავია ყოველ გვარი მკვლელობისა და ტეროორის. განა ეს ეორდანიამ და მის მოშხამულ კამარილიამ არ იცის?

ტეროორი—მკვლელობა თუნდაც პოლიტიკური მოწინააღმდეგის—ეს ჩვენგან ძველიდანვე უარყოფილი საშუალებაა, რომელსაც ჩვენი პარ

ტია მუდამ ებრძოდა და ებრძვის, რადგან ეს ბარბაროსული მეთოდი შე უთავსებელია ჩვენს პარტიულ მორალთან და მის მოძღვრებასთან. პოლი ტიკური ტეროორი ჩვენში თვით მენშევიკებმა შემოიღეს და მათი ბანა კიდან გასროლილი პირველი ტყვია უდიდეს ქართველს მოხვდა. ასეთი მოვლენები მუდამ ჩვენს გარეშე ხდებოდა და რამიშვილის სამწუხარო მკვლელობაც მენშევიკურ წრეებში ჩაისახა და შესრულდა—მენშევიკმა ჭანუკვაძემ მოჰკლა მენშევიკი რამიშვილი. თუ ამ მოვლენის მიზეზის ძებნას დავიწყებთ, იგი რათქმაუნდა, უნდა ვეძიოთ იმშურისძიებისა და ინ ტრიგების პოლიტიკაში, რომელსაც მენშევიკები აწარმოებენ და რომ ლის შედეგად ნ. რამიშვილს ხელით შეეხო ჯერ ალ. ასათია ანი და მერე მკვლელობის წინა კვირას თვით ევგ. გე გეჭკორიც.

მენშევიკებში გაბატონებული ჯგუფის „პოლიტიკა", ან უკეთ რომ ვსთქვათ უზნეო ინტრიგების ქსელი იქამდე გაღრმავდა რომ მეთაურთა შორისაც ერთმანეთის დანდობა არ არის და ერთი მეორეს სამარეს უთ ხრიან. ხოლო ასეთი მდგომარეობის დამყარებისათვის ყველაზე ენერგიუ ლად თვით რამიშვილი მუშაობდა, ამიტომ ბუნებრივია რომ მენშევიკუ რი პარტიის ზოგიერთ მეთაურებთან ერთად პარტიული მასის უმეტესო ბაც მის წინააღმდეგ ამხედრდა. ჭანუკვაძეც მენშევიკებში აღზრდილი, მათი მოძღვრებით დაგეშილი და მენშევიკური პარტიის ცნობილი და ერთგული ტეროორისტი ამ გაღიზიანებულ ნერვიულ ატმოსფერაში სცხოვ რობდა. რაც დრო გადიოდა, მენშევიკურ დაჯგუფებებსა და ცალკე მე თაურთა შორის დამოკიდებულება მწვავდებოდა. ურთიერთ სიძულვილი და მტრობა იზრდებოდა და ბნელი მენშევიკური მასსა შურის ძიების სურვილით იყლენთებოდა,—ამიტომ უბედურება შემთხვევით რამეზედ იყო დამოკიდებული. განა ეს არ იცის ნ. ჟორდანიამ? მან მეტიც იცის. იცის მშვენივრად, რომ მკვლელობის დღეს კრებაზე სადაც თითონაც მიდიოდა, წინა კვირით ნ. რამიშვილისა და ევგ. გეგეჭკორს შორის გამა რთულ კრივის გამო გაღიზიანებული ხალხი იარაღ ასხმული მივიდა და როგორც თვით მენშევიკები ამბობენ: „საკმარისი იყო რამიშვი ლის გამოჩენა, რომ სისხლის ღვრა მომხდარიყო", მაშასადამე ჭანუკვა ძემ მხოლოდ სხვებს დაასწრო და ამით შესაძლოა სხვების სიცოცხლე იხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ეს ბევრისათვის და ყველაზე მეტად ჟორდანიასათვის იყო აშკარა ე. ი. მან იცოდა მკვლელობის ნამდვილი მიზეზები და მკვლელის ვინაობა; მიუხედავად ამისა მკვლელი უცნობად და ბოლშევიკების აგენტად გამოაცხადეს ამისათვის-კი საჭირო იყო რაიმე საბუთი.

ასეთი საბუთი ნ. ჟორდანიამ იოლად იშოვნა—ეს იყო ცოცხალი მოწმე ვინმე ქერქაძე. ჟორდანიას თვალის ჩინი ვიღაც მენაღარიშვილი მიდის ქერქაძის ბინაზე, მიჰყავს ის საქართველოს საელჩოში, სადაც მოთავსებულია მენშევიკური პარტიის ბიურო და ბერიშვილთან (ნ. რამიშვილის დისწული) ერთად აშინებს გადასახლებითა და მოკვლით—„ხომ იცი რამიშვილიზა 100 კაცს დავხოცავთო". მუქარით შეშინებული უპიროვნო ქმნილება ხელს აწერს უკვე დამზადებულ წერილზე [იხ. ქერქაძის ჩვენება პრეფექტურაში] კისრულობს სთქვას, თითქოს ჯანუკვაძესთან ერთად ორჯერ იყო ბოლშევიკების საელჩოში.

მაგრამ ამ ყალბი მოწმობის შემდეგ ამ საცოდავ არსებას სინდისი აწუხებს და ეძებს გამოსავალს. ვისაც ხვდება არა მენშევიკს უამბობს თავგადასავალს და ტირილით დახმარებას სთხოვს: შემაშინეს, მოკვლას დამემუქრენ და ცრუ მოწმობა მაკისრებინეს. მიშველეთ თორემ ამის გამ ხელისათვის უსათუოდ მომკლავენო". ამ თხოვნით მიმართავს ქერქაძე რამიშვილით უკმაყოფილო მენშევიკებსაც. [ამას ამოწმებს სხვებთან ერთად ბევრი მენშევიკიც.] ამავე თხოვნით მიდის ის ჩვენს პარტიულ მეგობართანაც და ამნაირად თვალწინ გვეშლება ჟორდანია—მენაღარიშვილის მიერ უბადრუკად ჩაწყობილი კრიმინალური დანაშაული, აი ამან დაურღვია სულიერი სიმშვიდე ნ. ჟორდანიას. მისი საზიზღარი, უზნეო საქციელი არ დაიფარა და ჩვენც გავიგეთ, რაც ნიშნავდა კოვზის ნაცარში ჩავარდნას. ამით შეშფოთებულმა ბოროტმა არსებამ სცადა თავი დაეძვრინა და გამოსავლად უსაძაგლესი და უბინძურესი გზა გამონახა: თავის სისხლის სამართლის დანაშაული ჩვენ დაგვაბრალა მაგრამ ქერქაძის თავგადასავალი ქართველ საზოგადოებაში უკვე ფართოდ გახმაურებული აღმოჩნდა და ჟორდანია-მენაღარიშვილის გაღმა გამოდავებამ მხოლოდ ხაზი გაუსვა რომ მენშევიკური პარტიის ამ მეთაურთა კრიმინალურ ბუნებას უკვე არ ძალუძს ათეულ წლების განმავლობაში შესისხლხორცებულ უზნეო სრიკებზე ხელის აღება.

მენშევიკური პარტიისა და მისი მთავრობის თავ-რის ამ მორიგმა

საზიზღარმა პროვოკაციამ ერთხელ კიდევ გვანახა რომ მათთან საჭიროა ბრძოლა რეალური, სასტიკი და შეურიგებელი, რომ ქართველ საზოგადოებაში ! ბოლო მოეღოს შუღლისა და მტრობის ხელოვნურად თესვას. საჭიროა საზოგადოერიბვი აზრის ღვიძება და მისი ერთსულოვანი მობილიზაცია რომ საზღვარი დაუდოთ უპასუხისმგებლო კრიმინალთა თარეშს.

უნდა მივმართოთ ყველა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საერაც ქორდანია და მის დამქაშებს ჯერს კიდევ მიესვლებათ, რომ სრულიად გავაცნოთ მათი ზნეობრივად მახინჯი ფიზიონომია.

ს. ცომაია.

მენშევიკთა მორიგი პროვოკაცია.

განსვენებულ ნოე რამიშვილი მკვლელის გასამართლების შემდეგ დაჩქარებულის ტემპით გამოვიდა სოც-დემოკრატიული პარტიის ორგანო „ბრძოლის ხმა" და მისი ფილალი „საერთო ფრონტის" ორგანოდ წოდებული „დამოუკიდებელი საქართველო" მართალი გითხრათ დიდის კურიოზით გავხსენით ერთიც და მეორეც. გვაინტერესებდა თუ როგორ დაიღწევდენ თავს ქართველი მენშევიკები იმ მეტად რთულ მდგომარეობას და მორალურ მარცხს, რომელიც მათ პროცესზე განიცადეს.

ვისაც ჯერ კიდევ ობიექტივობა არ დაუკარგავს ამ მოწამლულ ემიგრანტულ ატმოსფერაში და ფაქტის სწორად დაფასების უნარი შერჩენია, ის უეჭვლად დაგვეთანხმება, რომ «ეროვნული ღირსება" მხოლოდ ფსიხიურ სენით შეპყრობილი ადამიანების გონების ნაყოფია გრძნობენ რა თავიანთ მარცხს მენშევიკები ჩვეულებრივი ბაქიობის შემდეგ მათი ვითომდა გამარჯვების შესახებ, თავს ესხმიან ბატონ სპირიდონ კედიას ბატონ გ. გეგელიას და ყველა ქართულ ეროვნულ ბანაკში მყოფ «გამდგარ» ხალხს, როგორც ჩვეულებრივათ ჩვენ გვეძახიან და ცდილობენ ბატონი სპირიდონ კედია მათი მორალური მარცხის პასუხისმგებლად გახადონ „სამარცხვინო ბოძზედ გააკრან" და მერე ვინ ბედავს ამას? ქართველი მენშევიკები? ის ხალხი, რომელიც ქართული ეროვნული აზრის

მიერ უკვე დიდი ხანია რაც მართლაც სამარცხვინო ბოძზეა გაკრულ-ლი,—მას შემდეგ რაც მაშინ მთლიანმა და შემდეგ ბოლშევია-მენშევი-კად დაყოფილმა პარტიამ მოჰკლა ის დიდი ქართველი, რომელიც იყო ჩვენი ეროვნული ღირსების აღმდგენელი. ის ხალხი რომელიც 25 წლის ზანძილზე სთელავდა საქართველოს უფლებას და ღირსებას. და მერე ვის ესხმიან თავს მენშევიკები? დღეს ბატონ კედის, გუშინ ქაქუცა ჩოლოჩყაშვილს, მიხეილ წერეთელს, გენერალ კვინიტაძეს, გამოჩენილ ქართველთ, ყველა იმ პირთ, ვისაც სიყრმიდან საქართველოს სამსხვერპლოზე ყოველივე პირადი მიუტანიათ. რა დააშავა ამ ხალხმა თუ არა ის, რომ მათ მორჩილება არ გამოუცხადეს ბ. ჟორდანიას და მის კამარილიას. არ უკრავენ ტაშს ამ უკანასკნელთა საქართველოს დამღუპველ პოლიტიკას. ან შეიძლება დრონი ისე შეიცვალნენ, რომ ბატონ ჟორდანია საგან უნდა ავიღოთ გაკვეთილები საქართველოს საყვარულის, საქართველოს სამსახურის. რომელი მკითხველი, რომელი მებრძოლი ქართველი გინდათ დააჯეროთ ამაში? დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არც იქ თქვენ მიერ ტანჯვაში ჩაგდებულ საქართველოში და არც აქ ემიგრაციაში არც ერთი პატიოსანი ქართველი არ მოიპოვება, რომელმაც თქვენ კვერი დაგიკრათ. პირიქით, ყველანი ჩვენთან ერთად ამ თქვენს გამუდმებულ პროვოკაციას და საუკეთესო მამულიშვილებზე თავდასხმას, თქვენს პოლიტიკურ და მორალურ გაკოტრებასა და აქედან გამომდინარე ბრაზმორეულობას და სიბოროტეს მიაწერენ.

ჩვენ არ შევალთ ყველა იმის გარჩევაში რაც პროცესზე მოხდა, არც გამოვეკიდებით ყველა იმ ტყუილებს რომლითაც არის დაქსოვილი „ბრძოლის ხმის და „დამოუკიდებელ საქართველოს“ ანგარიშები. ჩვენ შევეხებით მხოლოდ მენშევიკების მიერ წამოყენებულ ორ თეზას, რომელთა დამტკიცების ცდაშიც ისენი დამაცხდენ. ამ ცდის დამარცხება იყო მიზეზი მორალურ მარცხისა და არა ბ. კედია. პირველი თეზა: ჭანუყვაძე არის ბოლშევიკების აგენტი. ამის საბუთი? უბადრუკი ქერქაძეს ჩვენება. რომლის იმედით სწერდა თურმე ბ. ჟორდანია “ბრძოლის ხმა“ში: ჩვენ ურყევი საბუთი გვაქვს‘ რომ ჭანუყვაძე ბოლშევიკების აგენტიაო. რა გამოირკვა პროცესზედ? გამოირკვა ის რომ ქერქაძემ პირველი თავისი განცხადება ჭანუყვაძის ბოლევიკებთან კავშირზედ მართლაც მენაღარიშვილის ძალდატანებით გაკეთა. შემდეგში მან უარყო

ეს ჩვენება ფრანგულ ადმინისტრაციის წინაშე. პროცესზედ ის ისევ მოიყვანეს, პირველი ჩვენება გაამეორებიეს და თან დაამატებინეს:, ,,მე შევცვალე ჩემი ჩვენება გეგელიას და კედიას ხალხის მუქარითო. თვით ჩვენება ჩემს მაგიერ გეგელიამ მისცაო''. ქერქაძის და საუბედუროთ გეგელია მის გვერდით იდგა,, რომელმაც თავჯდომარის შეკითხვაზე განაცხადა: ,,მე არავითარი ძალა არავისთვის დამიტანებია, და არც ქერქაძის მაგიერ ჩვენება მიმიციავო ქერქაძე თვით მოვიდა ჩემთან, მიამბო თუ რა ძალმომრეობას ხმარობდენ მასზედ და დაცვა მთხოვაო. ამ მდგომარეობის გარკვევა მხოლოდ იმ ორ ფრანგ ადმინისტრატორს შეეძლო, ვინც ქერქაძის ჩვენების ოქმი დასწერეს. ერთმაც და მეორემაც თავმჯდომარის შეკითხვაზე განაცხადეს, რომ ქერქაძემ თითონ მისცა ჩვენება ფრანგულ ენაზედ, დასძინეს ისეც, რომ ქერქაძე ამის შემდეგ რამოდენიმე დღე პრეფექტურაში იძინედა. რადგან მენაღარიშვილის კომპმნიის ეშინოდა. ეს მომენტი იყო გადამწყვეტი პროცესში. ქერქაძე როგორც პიროვნება და მოწმე მოისპო' მასთან ერთადდაინგრა მენშევიკების თეზაც. თვით ბატონმა ჯიაფერმა ითხოვა ქერქაძის მოწმობის ნუ მივიღებთ მხედველობაშიო. ბრალდებლებმაც არავითარი ანგარიში არ გაუწია ქერქაძის მოწმობას და ერთხელაც არ განუცხადებია ჭანუკვაძის რაიმე კავშირი ბოლშევიკებთან. მენშევიკების და მენაღარიშვილის ძალმომრეობა ქერქაძეზედ კი აშკარა შეიქნა. ამ უმაგალითო ფაქტმა დაამარცხა მენშევიკები მსაჯულების თვალში. ,,ბრძოლის ხმა'' რასაკვირველია დღესაც უარყოფს რაიმე ძალდატანებას ქერქაძეზედ, მაგრამ ჩვენ სხვა საბუთიც გვაქვს ამ ფაქტის შესახებ. სანამ ფრანგი ადმინისტრატორები მოვიდნოდენ ჩვენების მისაცემათ, კულუარში შევხვდით ბატონ მიშა არსენიძეს*) როგორი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც ბატონმა არსენიძემ მითხრა სიტყვა სიტყვით შემდეგი: ,,რასაც გეგელია ამბობს სწორია. ქერქაძე ჩემთან მოვიდა და ყოველივე მიამბო, მთხოვა დავხმარებოდი. მე ურჩიე გაჩუმებულიყო და არ აყოლოდა მენაღარიშვილის მუქარას. თუ კი მაინც კიდევ ძალას დაატანდენ თვით წასულიყო ვექილთან. ამის შემდეგ ერთ საღამო

*) აღსანიშნავია რომ პროცესზედ მოწმედ არ ყოფილან ის სოც.-დემოკრატები, რომელნიც ყორდანიას კამარილიას ოპოზიციაში უდგანან. ზოგიერთი მათგანი პირიქით აღშფოთებას გამოთქვამდენ მათი პარტიის წერვების უმგვანო ქცევაზედ.

თი ქერქაძე ისევ მომადგა და ტირილით გამიცხადა, მაინც ჩამადენიეს ეს საქმეო. მე ძალიან გაუჯავრდი და გარედ გავაგდე. სისულელე ჩაიდინე და აწი თვით მოუარე შენს თავსთქო".

მე დიდ ბოდიშს ვიხდი ამ პატივცემულ მოღვაწის წინაშე, რომ მის ნებადაურთველად და გაუფრთხილებლად ვაქვეყნებ მის ნათქვამს, მაგრამ როდესაც მისი პარტიული ამხანაგები ჟორდანია-მენაღარიშვილ-გვარჯალაძის ჯგუფი მიმართავენ ყოველივე საზიზღარ ხერხებს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ ვთხოვთ ბატონ არსენიძეს და ყველა პატიოსან ქართველს მოგვიტევოს ეგრეთი პატარა დანაშაული.

დაუბრუნდეთ პროცესს. პირველი თეზის განხილვამ დაგვანახა თუ როგორი მარცხი განიცადეს მენშევიკებმა ქერქაძეს ჩვენებით. ეხლა განვიხილოთ მეორე მათი თეზა. ,,ჭანუკვაძის განცხადება, რომ მისი ოდენკურიდან გაძევება განსვენებულ რამიშვილის დასტურით მოხდა ტყუილია. ის იქიდან გააძევა ოდენკურის ასოციაციამ. ბატონი რამიშვილი კი პირიქით მოითხოვდა მისთვის გაორკეცებულ დახმარების მიცემასო? ჭანუკვაძე ამტკიცებს წინააღმდეგს: ,,რამიშვილი დაესწრო იმ კრებას, რომელზედაც ჩემი ასოციაციიდან გარიცხვა და ოდენკურიდან გაძევება დაადგინესო. მენშევიკებმა თავიანთ თეზის დასამტკიცებლად გამოიყვანეს ბატონი ბაქრაძე. ოდენკურის ასოციაციის თავჯდომარე. რა სთქვა ამ ,,მოწმემ?" მან კატეგორიულად განაცხადა, ბატონი რამიშვილი არაფელ შუაშია ჭანუკვაძის გაძევებაში, მას ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, გარდა იმისა რომ 250 ფრანკის მაგიერ 500 ფრანკი მიგვაცემინა ჭანუკვაძისთვისო. მან უარყო ბ. რამიშვილის კრებაზედ დასწრება. მაგრამ ჭანუყვაძის დამცველ ვექილის შეკითხვის შემდეგ ის იძულებული შეიქმნა მაინც ეთქვა—რამიშვილი შემოვიდა კრებაზედ და ისევ მალე გავიდაო. ეს ვექილის მიერ გამოგლეჯილი უკანასკნელი განცხადება ბაქრაძისა ფატალური იყო მისი თეზისთვის. ვექილმაც მოხდომილად ისარგებლა ამ განცხადებით და დაანგრია ბაქრაძის თეზაც და მისი ჩვენებაც. აი ამ უკანასკნელმა ჩვენებამ და ქერქაძის ინციდენტმა იქონიეს გადამწყვეტი მნიშვნელობა პროცესზედ. ამ ორ მომენტში თქვენი თეზის დამარცხებამ გამოტანინა ნაფიც მსაჯულებს ის განაჩენი,რომელიც თქვენთვის აუცილებლად დიდ მარცხს წარმოადგენს და რისთვისაც პასუხის

მგებელი თქვენ თითონ ბრძანდებით და არა ბატონი კედია და მისი „ამქარი“.

ეხლა გავსინჯოთ სასამართლოს განაჩენი. ის მართლა წარმოად გნეს თუ არა მორალურ მარცს, რომლითაც ჩვენ ვხსნით მენშევიკთა სწორწონობის დაკარგვას და ბოროტ-პროვოკაციულ წერილებით გამოლაშქრებას.

მენშევიკები თავს იკატუნებენ და რიხით სწერდენ დაახლოვებით შემდეგს: „მოხდა ჯერ არ მომხდარი ფაქტი; სენის ნაფიც მსაჯულებს ჯერ არც ერთი პოლიტიკური დამნაშავე არ გაუმტყუნებია, გარდა ჭანუკვაძისაო. ჭანუკვაძის გამტყუნება ეს ჩვენი გამარჯვებააო.“ მენშევიკები აქაც ჩვეულებრივად სტყუიან. მათ კარგად იციან რომ პროცესს პოლიტიკური ხასიათი არ მისცემია. ჯერ თვით ბატონი ჯიაფერი—სამოქალაქო მხარის წარმომადგენელი, გაურბრდა პროცესისთვის პოლიტიკურ ხასიათის მიცემას. ეს ჩვენთვის და ყველასათვის ალბად გასაგები ფაქტია და კომენტარიებიც ზედმეტია. რაც შეეხება ბრალმდებელს და თვით ჭანუკვაძის დამცველ ვექილებს, ესენი ხომ ძალიან შორს იყვენ პოლიტიკისაგან.

ჭანუკვაძე გაასამართლეს როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე და ის სასჯელი, რომელიც მას ამ შემთხვევაში შეხვდა, არის სწორედ დიდი მარცხი რომელმაც მენშევიკები გააბოროტა. მართლაც და წარმოვიდგინოთ სურათი პროცესისა: ერთის მხრით ხრო ქართველი მენშევიკებისა, მათ ლაქიათა და მათთან რამოდენიმე გულუბყვრილო უცხოელი. ყველა ესენი თავს ესხმიან ჭანუკვაძეს, ქებას ასხამენ მის მსხვერპლს და მენშევიკურ პარტიას. მეორეს მხრით ჭანუკვაძე მარტო, უპატრონო, არც ერთი კაცი მის მოწმედ, გარდა მისი სახლისპატრონისა, რომელიც მასზედ კარგს ამბობს.

იმ კითხვათა მიხედვით რომელიც გადაეცა ნაფიც მსაჯულებს საპასუხოდ მას შემდეგ ბრალდებები უყენებენ 1. რამიშვილის მოკვლა 2. ამ მკვლელობის განძრახ და მოფიქრებულად ჩადენა 3. მენაღარიშვილის მოკვლის ცდა tentative de morte 4. მენაღარიშვილის მოკვლის წინას წარი განზრახვა და 5. მოკვლის განზრახვით ჩასაფრება. ჭანუკვაძე არც ერთ ამ ბრალდებას არ უარყოფს. პირიქით ის მტკიცედ ადგია თავის პოზიციას. თითქოს ცხადი იყო, რომ ნაფიცი მსაჯულები უპასუხებდენ

ყველა კითხვებზე კ ი-ს და ჭანუყვაძეს თავს მოსჭრიდნენ. ესეთ განაჩენს ეძებდენ და მოელოდენ მენშევიკები და მაშინ მართლაც გამარჯვებულად ჩათვლიდენ თავიანთ თავს. მაგრამ ნაფიცმა მსაჯულებმა, მიუხედავად ჭანუკვაძის შეურყევლობისა, მხოლოდ პირველ კითხვაზე უპასუხეს კ ი და ისიც მცირე უმრავლესობით. დანარჩენ კითხვებს მსაჯულებმა უპასუხეს ა რ ა და თან მიუმატეს შემასუბუქებელი მდგომარეობა. თუ ჭანუკვაძეს, პირველ კითხვაზე კ ი-ს პასუხით მოელოდა სამუდამო კატორღა, ნაფიც მსაჯულების მიერ შემამსუბუქებელ მდგომარეობის მიმატება ნიშნავდა, რომ მათ ეს სასჯელი მეტად მკაცრად მიაჩნიათ და სასჯელის მინიმუმს მოითხოვდენ. ესეთი განაჩენი, ზევით მოყვანილ მდგომარეობის შემდეგ, მე მგონი ყველასათვის ნათელჰყოფს მენშევიკების სასტიკ მარცხს.

განაჩენის გარჩევის შემდეგ აშკარაა რომ ჩვენი თეზა მენშევიკების მორალური მარცხის შესახებ სწორია და ისიც აშკარაა, რაც მთავარია ჩვენთვის, რომ ამ მარცხის პასუხისმგებელნი მხოლოდ და მხოლოდ თვით მენშევიკები არიან. აი ამ პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნა და მისი ბატონ სპ. კედიახედ, მის ახალგაზრდა თანამშრომელ გ. გეგელია ზედ და სხვებზედ დაკისრება სურთ ბატონ მენშევიკებს და მათზედ აშკარად ილაშქრებენ თავიანთ [სხვებზედ კი კერძოდ ჩემზედ ჩვეულებრივად კუთხეებში ჭორაობენ] გაზეთებში.

ჩვენ შეგვიძლია კატეგორიულად განვაცხადოთ იმის დამიხედვით რაც პროცესზე ვნახეთ და რაც კერძოთ ვიცით, რომ არც ბატონი სპ. კედია და არც ბატონი გეგელია პროცესზედ ჭანუკვაძის მოწმედ არ ყოფილან.

რაც შეეხება ბ. გეგელიას, მან ჩვენება მისცა მხოლოდ ქერქაძის შესახებ. ის იძულებული იყო სასამართლოში მისულიყო და გაემეორებინა ის რაც მას ქერქაძემ უთხრა. მას არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, რადგან ჩვენ პროცესიდან ვიცით რომ სწორედ მას სთხოვა ქერქაძემ მფარველობა მენაღარიშვილისაგან და მასვე სთხოვა ფრანგულ ადმინისტრაციასთან წაყოლა. ქერქაძის ბელმეორეთ ჩვენების შეცვლის შემდეგ, გეგელიას რომ არც მოესურვებია სასამართლოში მისვლა, მას მაინც მიიყვანდენ იქ. ბრალი ვისია?..

მიუხედავად იმისა რომ ბატონი გეგელია პროცესზედ მოწმედ იყო,

მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს განსვენებულ ნ. რამიშვილის წინააღმდეგ და არც ჯანუკვაძის დასაცავად. მან მხოლოდ თავი დაიცვა იმ საზიზღარ ცილისწამებისაგან, რომელიც თქვენ მას დასდეთ.

მაშ ბატონო მენშევიკებო ცილისწამებისგან თავდაცვას თქვენ ჯანუკვაძის მოწმობას უძახით არა?

ბარაქალა თქვენს ლოღიკას. რაც შეეხება ბატონ კედიას; ის ისეთივე მოწმე იყო, როგორც სხვები მასთან ერთად დამცველ ვექილთაგან გამოძახილნი. ბატონ კედიას დაუძახეს როგორც ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს, როგორც ბ. რამიშვილის და მისი პარტიის მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელს. მაგრამ მასთან ერთად ხომ იყვენ დაძახებულნი ბ. ევგენი გეგეჭკორი და თქვენი ახალი მოკავშირე, რამოდენიმე თვის უკან თქვენ მიერ ბოლშევიკად და მოღალატედ გამოცხადებული ბატონი ალ. ასათიანი? თუ თქვენ ბატონ სპირიდონს ჯანუყვაძის მოწმობას აბრალებთ, იმავე ლოღიკით ბატონი გეგეჭკორი და ბატონი ასათიანიც მის მოწმედ უნდა გამოგეცხადებიათ. მაგრამ თქვენი ლოღიკა ყოველთვის სუსტობდა და ეხლა-კი ის სულ გამქრალა. ან შეიძლება თქვენ ბატონ სპ. კედიას ბრალს იმაში სდებთ, რომ ის თვისი მოვალეობის მოსახდელად სასამართლოში გამოცხადდა, სხვებმა კი არჩიეს სახლში დარჩენა. თქვენ გინდოდათ ბატონებო რომ ბატონი სპ. კედიაც სახლში დარჩენილიყო? ბატონო მენშევიკებო, ნება მიეცით სხვებს თავიანთი მოვალეობა უკეთ იცოდენ და თქვენი გაკვეთილები მოვალეობაზე თქვენთვის შეინახეთ. ან რად სცხარობთ ეგზომათ, ბატონ კედიას ხომ ერთი სიტყვაც არ უთქმას პროცესზედ. მაგრამ თქვენ ერთი ქართული ანდაზა უნდა გაგახსენოთ „მელიას რაც ელანდება ის ესიზმებოდაო". თქვენ ალბად ფიქრობთ რომ ბატონი სპ. კედია ისევე ვერაგულად მოიქცეოდა, როგორც თქვენ მოიქცეოდით, რომ როლები შეცვლილი ყოფილიყო. თქვენ ხომ არასოდეს და არაფერში რაინდობა არ გამოგიჩენიათ და ალბად თქვენი საზომით ზომავთ ყველასა.

თქვენ სწერთ: პროცესმა ნათელჰყო ამ ხალხის მუშაობა პროცესამდეცო. მე არ მგონია თქვენი მკითხველის უგნურობაზე ანგარიშობდეთ, როდესაც ამას სწერთ. როგორ პროცეს ამზადებდენ და ესეთნაირად მოამზადეს? განა არა გრძნობთ თუ რა სისულელეს სწერთ. პროცესს ამზადებდენ და ბატონი სპირიდონის მეტი „მოწმე" ვერ იშოვეს. არა ბატო

ნებლ ამის დაწერა თქვენი მეტის მეტი უგნურობაა. ბატონ სპ. კედიას, და იმათ ვინც თქვენს საერთოლ ფრონტს არ ცნობს და მის გარეშე სდგას, რომ მოგვესურვებია თქვენთვის ბრძოლის მიცემა სასამართლოში, ესე იგი ფრანგულ საზოგადოლ აზრის წინაშე, თქვენ გგონიათ ვერ შევი ძლებდით?

განა ცოტა საბუთების და დავთრების გახსნა შეგვეძლოლ, თქვენ მი ერ წასულში და აწმყოში ჩადენილ შავ-ბნელ საქმეებისა. განა ცოტა მოწ მეებს მოვიყვანდით იქ თქვენთვის ნიღაბის ასახდელათ. არა მარტოლ ქარ თველებს, სხვებსაც. ჩვენს მეზიბლებსაც. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ ეორდანია-რამიშვილის მიერ მიწერილი წერილები არ იყოლ საკმარისი თქვენ გასაშავებლად?

ყოველივე ზევით ნათქვამი რომ სწორია, ეს კარგათ მოგეხსენებათ, მაგრამ ამან ხელი არ შეგეშალათ შხამი გადმოგენთხიათ და საპროვოკა ციოლ წერილები დაგეწერათ. ამით დაამტკიცეთ რომ თქვენი ბუნება უც ვლელია და სანამ კიდევ ქართულ პოლიტიკურ სცენაზედ ბოგინობთ, ალბად არა ერთ მაგალითს გვიჩვენებთ თქვენა სიბოროტი სა. განაგრძეთ არ იფიქროთ რომ ჩვენ ან გვაღელვებდეს ან რაიმე ანგა რიშს უწევდეთ თქვენს ესეთს გამოსვლებს. ჩვენ ვიცით რომ ბუზები შე მოდგომაზედ მწარედ იკბინებიან

მიხ. კედია.*]

---

*) ამ ნომერში დაბეჭდილი წერილები, რომლებიც ეხება ნ. რამი შვილის მკვლელის პროცესის გამოლ მენშევიკური პრესის პროვოკაცი ულ გამოსვლას, იბეჭდება დაგვიანებით ჟურნალის გამოცემის ტეხნიკუ რი მიზეზებით შეჩერების გამოლ.

რედ.

განმარტება თეთრი გიორგის.

გასული წლის აგვისტო-სექტემბრის გაზ. „თეთრი გიორგის“ 43—44 ნომრებში დაიბეჭდა უსახელო წერილი ჩვენი ჟურნალის 3 ნომრის შესახებ, თუმცა დაგვიანებით მაგრამ მაინც საჭიროთ ვცანით ზოგიერთი განმარტებანი, ვინაიდან წერილის დამწერი ძლიერ დაბნეულა და ფაქტებიც ძალზე დაუმახინჯებია ამიტომ წერილიც მთლიანად გაუგებრობაზეა აშენებული.

მუდმივი ემიგრანტის ორგანო გაოცებული კითხულობს თუ ვის ეკუთვნის ჟურნალი „ახალი ივერია“. წარწერიდანაც ნათელია, რომ ის ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანოა, მაგრამ წერილის ავტორს მაინც გასძნელებია მისი მისამართის მიგნება, რადგან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მას დაშლილი და ახალგაზრდობაც დანაწილებული ჰგონია. ეს არ შეეფერება სინამდვილეს რადგან დიდი ხანია რაც ჟურნალი „ახალი ივერია“ გამოდის და ის აღიარებულია ეროვ.-დემ. ახალგაზრდობის ორგანოთ. ამ ხნის განმავლობაში მას არც მეტოქე და არც პრეტენდენტი არ გამოსჩენია, რაც ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის მთლიანობის და გაუთიშველობის დამადასტურებელია.

მეორე ადგილს ყოფილ ეროვნულ-დემოკრატებს გვიწოდებენ, არ ვიცით კი რატომ ან რა აზრით? ან შეიძლება იმიტომ რომ ჩვენ წიხეთ სხვა აზრისა და შეხედულებისანი ვიყავით და ეხლა დავადექით თეთრი გიორგის გზას. არის მერე ეს მართალი?

შემდეგ ისინი სამშობლოს სიყვარულში გვედავებიან და კიდეც გვიწუნებენ და გვისაყვედურებენ მის ნაკლებობას. რას ნიშნავს „ალბათ მალე შეაშუქებს სამშობლოს სიყვარულის სხივი“? მაშ ჩვენ აქამდის მოკლებული ვყოფილვართ სამშობლოს სრულს იდეიას, როცა ასობით და ათასობით ვეწირებოდით საქართველოს განთავისუფლების საქმეს, არა უაზრო სიტყვების კორიანტელით, არამედ საკუთარი სიცოცხლის შეწირვით. სად იყვნენ ან სად არიან დღეს თეთრი გიორგელები? ვის საქმეს აკეთებენ ისინი? გამოდევნილ სპარსეთის შაჰის ტახტის დაბრუნებისათვის იბრძვიან და სამხრეთ-ამერიკის ჯარების მოსაწყობათ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის?

პირდაპირ სასაცილოა, როცა წერილის დამწერი თეთრი გიორგული

აზრების და წარმოიდგინეთ სიტყვების მითვისებასაც კი გვწამებს. ჯერ ერთი, გამოთქმა ,,ინტეგრალური პატრიოტიზმი'' ჩვენ გვეკუთვნის, რასაც ყველა ადვილად დაიჯერებს ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს ჩვენი ორგანოს გაზ. ,,საქართველოს'' მეთაურები და სხვა წერილები საქართველოში და აქ ემიგრაციაშიც ჩვენი გამოცემები.

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას და კაცი სავსებით მანიაკი უნდა იყვეს რომ ასეთ წვრილმანზე გვედავებოდეს;

წერილი ავტორი ერთს ახირებულ გზას დასდგომია: ყველა ჩვენს დებულებებს ის თეთრი გიორგულად აცხადებს, ყველა ჩვენს აზრებს ის თავისად ასაღებს და გულუბრყვილოდ გაიძახის: თეთრი გიორგისაც მეტი არა უთქვამს რაო; ახალი ივერიელები მივიდენ საქართველოს დამოუკიდებლობის თეთრგიორგული შეფასებამდეო, თეთრგიორგული შეფასებასთან გვაქვს საქმე, ამაშიც ხომ ეჭვი არავის შეეპარებაო და სხ. ყოველს მანიაკს რასაც სხვა ამბობს და აკეთებს თავისი ჰგონია. რა ვქნათ ეს მისი ბუნების დამახასიათებელია.

ყველასათვის ცხადია რომ ჩვენ როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის ისე მენშევიზმის შეფასების საკითხშიც განსაზღვრული შეხედულებისა ვიყავით გაცილებით უფრო ადრე ვინემ თეთრიგიორგი იხილავდა მზის სინათლეს და თუ სადმე უნდა ვეძიოთ აზრების და შეხედულებათა მითვისება ეს ისევ თეთრი გიორგის ფურცლებზე და თუ ისინი ამის დამტკიცებას მოისურვებენ ჩვენ მზად ვართ.

მაგრამ კი მკვეხარობაზე სჯობს ხელი ავიღოთ.

ტფილისელი-

რეზოლუციები.

14 მაისს 1932 წ. ბერლინის ერ. დემ. პარტიის ორგანიზაციამ იქონია მსჯელობა ,,სამშობლო''ს ჯგუფის მოქმედებათა შესახებ. მომხსენებელი იყო ბ-ნი ნაკაშიძე. ერთსულოვანი მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი დებულებანი:

,,სამშობლო''ს უკანასკნელ ნუმრიდან გავიგეთ შემთხვევით, რომ ,,სამშობლოს'' ჯგუფს მოუწყვია პარტიის სახელით ახალგაზრდათა კონფერენცია და აწარმოებს პარტიის სახელითვე პოლიტიკურ მოლაპარაკებათ.

ვდგევართ რა გაერთ. ს. ერ. დემ. პ. მთლიანობის ნიადაგზე, ვალ დებულნი ვართ სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის განმეორებით მი ვიღოთ გარდაწყვეტილება და განვაცხადოთ შემდეგი:

მთელი პარტიის სახელით მოქმედება-მოლაპარაკების წარმოება ან ვისმესთან შეთანხმებაში შესვლა შეუძლია მხოლოდ იმ პირს, რომელ საც აქვს პარტიის ყველა და საყოველთაო კონფერენციათა მანდატი და უფლებამოსილობა.

სხვაგვარი მოქმედება იქნებოდა უზურპაცია, დამრღვეაი პარტიის რეგლამენტისა, რადგან ეს უკანასკნელი მოითხოვს დემოკრატიულ წესს პარტიულ ვითარებაშიც. „სამშობლო"ს ჯგუფის შემადგენლობის განხილვაში ჯერ-ჯეროობით არ შევდივართ, მაგრამ ვაცხადებთ, რომ ეს ჯგუფი წარმოადგენს მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს საქ. გაერთ. ერ. დემ. პარტიისა და ამიტომ მთელი პარტიის ვერც სახელსა და ვერც ხემძღვანელობას ვერ მიითვისებს.

თვით ბ-ნ ა. ასათიანის მოქმედება მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს: 1. პარტიისაგან მას არავითარი მანდატი არა აქვს და 2. მოკლებულია აგრეთვე ნდობასაც, რადგან მისი ეხლანდელი მოქმედება რადიკალურად ეწინააღმდეგება ა) პარტიის ერთსულოვან დეკლარაციას 1927 წ. გამოცემულს მისივე (ასათიანის) თანამშრომლობით, და ბ] მისივე საკუთარი წიგნის მრავალ ადგილებს და მთელ შინაარს, რომელიც აგებულია ამავე დეკლარაციაზე.

ეს გარემოება უკარგავს ბ-ნ ასათიანს ნდობას, რადგან მუდამ საეჭვოდ რჩება, რომელია მისი საბოლოო აზრი, და ნამდვილი რწმენა; ან უკანასკნელია თუ არა მისი აზრთა შეცვლა.

რასაკვირველია, დასაშვებია პოლიტიკური გეზის შეცვლის შესაძლებლობა, მაგრამ უმთავრესია, რა რიგად და როგორი ზნეობრივი ფორმაში მოხდება ეს.

მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს პარტიის ორგანიზაციათა დაუკითხავად და მალულად ახალგაზრდათა ისეთი კონფერენციის მოწვევა რომლის შემადგენლობაზე არც პარტიის წევრებსა და არც საზოგადოებაში ერთი და ძთლიანი აზრი არ არსებობს და ზოგჯერ განცვიფრება საც იწვევს; ხოლო დასაგმობია ბოლშევიკური მეთოდი ახალგაზრდათა ტანჯვისა: ორიოდე ახალგაზრდამ შეიძლება ბანაკი გამოიცვალოს [„უფროსის" მაგალითით!), მაგრამ სერიოზული მოსაზრებისათვის საჭიროა არაა ძალადობით მათი „მონანიების" ღაღადისი საქვეყნოდ და საჯაროდ გამოიტანოს.

ეს კონფერენცია უნდა მოწყობილიყო ყველა ორგანიზაციათა წინასწარი დაკითხვით, ცნობითა და დასტურით და არა საიდუმლოდ.

აგრეთვე ყალბია ჩვენის ეჭვმიუტანელ ცნობებით განცხადებაც, ვითომც ერ. დემ. პარტიის ორგანიზაციათა უმრავლესობა „სამშობლო"ს ჯგუფის მხარეზე იყოს. ორგანიზაციათა დაკითხვამ ბ-ნ სპ. კედიასაგან რეფერენდუმმა პარტიაში მოგვცა „სამშობლოს" ჯგუფის გამკილავი და მისი საწინააღმდეგო დიდი უმრავლესობა. ამიტომ უკანონა ეს ნაჩუმალევი „კონფერენცია" და მისი დადგენილებანი. ფართო წრისათვის სავალდებულო არაა და ვერც იქნება.

პარტიისათვის საყოველთაოდ სავალდებულო იქნება მხოლოდ განაჩენი მთელი პარტიის ყველა ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კონფერენციისა, რომელიც უნდა მოეწყოს პარტიის რეგლამეტის წესით. მანამდის კი პარტიის მეთაურად ითვლება ბ-ნი სპ. კედია, რომელიც აქამდე ყველა საჭირბოროტო საკითხებზე პარტიულ ორგანიზაციათა რეფერენდუმით ხელმძღვანელობდა. საყოველთაო და კანონიერ კონფერენციის მოწვევა უნდა მოეწყოს, განსაკუთრებით „სამშობლოს" უკანასკნელი გამოსვლების გამო,—მიუკერძოებელ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

ჩვენ მოუწოდებთ პარტიის წევრებს და ფართო საზოგადოებას,—აღიკვეთოს ჩვენში ყოველი პირადი ხასიათის ბრძოლა და ვებრძოლოთ იმ ცდათ, რომელთა მიზანია დემორალიზაციის შეტანა და გამეფება ეროვნულ მიმართულებასა და ქართულ ემიგრაციაში და რომელსაც ჰსურს თავს მოახვიონ ინტრიგა ქართველთა შორის ნაცვლად ქართული პოლიტიკის წარმოებისა.

ჩვენი უახლოესი მიზანია,—მოეწყოს პარტიული კონფერენცია და ერთობ ემიგრაციის საყოველთაო ყრილობა, რათა განმტკიცდეს ჩვენი მიმართულების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა შინ და გარეთ და მიეცეს ქართულ ემიგრაციას მართებული და პასუხისმგებელი ცენტრი.

თავმჯდომარე: ტიტე მარგველაშვილი.
მდივანი კორნ. ხოშტარია.

ტულუზის ორგანიზაციისაგან.

კრებამ განიხილა რა საკითხი ჟურნალ „სამშობლოში" გამოქვეყნებულ „ყრილობის" ანგარიშების შესახებ, დაადგინა აცნობოს საქ. დემ. პარტიის თავჯდომარეს ბ-ნ სპ. კედიას, რომ ტულუზის ორგანიზაციამ ისევე როგორც საფრანგეთის სხვა ორგანიზაციებმა არაფერი იცოდა ამ

„ყრილობის“ მოწვევის შესახებ და მაშასადამე ჩვენი დელეგატიც მას არ დასწრებია. ჩვენ უტყუარი ცნობებდან ვიცით, რომ სულ ხუთმა კაცმა ერთმანეთთან შეხვედრის დროს, თავის-თავს პარტიული ყრილობა უწოდეს, რაც ჩვენის რწმენით მორალურად დაბალი ხარისხის და პარტიულად შეუწყნარებელი საქციელია.

ტულუზის ორგანიზაცია მოითხოვს პარტიის მეთაურობისაგან მიღებულ იქმნას გადამჭრელი ზომები, რათა ბოლო მოეღოს პარტიაში ანარქიას და ალაგმულ იქმნას უდისციპლინო ორგანიზაციისა თუ ხელმძღვანელ ორგანოს წევრები.

მოწვეულ იქმნას პარტიული კონფერენცია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ერ. დ. პარტიაში უთანხმოების წარმომშობი საკითხები.

მანამდე კი ჩვენი ორგანიზაცია მტკიცედ სდგას იმ პოზიციაზე, რომელსაც იცავს ირ. დემ. პარტია და მისი თავჯდომარე ბ-ნი სპ. კედია.

ტულუზის ორ-ციის მდივანი: მ. გოგორიშვილი.*)

საქ. ერ. დემ. პარტიის საფრანგეთის კომიტეტს.

განცხადება.

საქართველოდან ჩამოვედი 1929 წელს. როგორც ყოველი ქართველი მეც მომხრე ვიყავი ემიგრაციაში ქართველთა მთლიანობის და ამიტომ მივეკედლე ერ. დემ. პარტიის იმ ნაწილს, რომელიც შედიოდა „მთლიან ფრონტში“. როგორც ახალმა ჩამოსულმა ამ ფრონტის ნამდვილი შინაარსი მე არ ვიცოდი, ამიტომ მისი მიმზიდველი სახელი სავსებით გამოხატავდა ჩემს მაშინდელ განწყობილებას, ვფიქრობდი რომ იქ ერისა და ჩვენი პარტიის შეთანხმებული ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ მაგრამ ამ ფრონტში სამი წლის ყოფნამ საკმაოთ გადამარწმუნა ჩემს პირველ შეხედულებებში.

ფრონტი აღმოჩნდა ფიქცია, რაც თურმე მარტო ქაღალდზე არსებულა. სინამდვილეში ის მიენშევიკების ქვე—დაწესებულებაა, მათი ბრძანებებისა და დირექტივების უკომენტარიოდ შემსრულებელი. იქ არ კეთ

---

*) უადგილობის გამო პარიზისა და საზღვარგარეთის სხვა ორ-ბის რეზოლიუციებ ამ ნომერში ვერ იბეჭდები.

რედ.

დება არც ეროვნული და არც ჩვენი პარტიული საქმე და პირიქით ილა ხება პარტიისა და ერის სახელი. ამ ფრონტში ყოფნით ჩვენი პარტია მონაწილე ხდება ისეთი საქმეების, რომლებსაც უდიდესი ზიანი მოაქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

საერთო ფრონტის სამ თუ ხუთ კაცს იყენებენ მთელ რიგ საქმია ნობისათვის, და მართლაც მუშა კულტურულ კაცს ბ-ნ გვაზავას სჯე რა და სჯეროდა მათი გულწრფელობა, მიუხედავად ამისა ბ-ნი გვაზავა უდაოთ სპეტაკი ადამიანია, იმათთან შედარებით ვინც თავიანთი ემიგ რაციის მწარე დღეები ამ პოზიცია ოპოზიციაში გაატარეს და დღეს პი რად სარგებლობის გულისთვის თავიშეყვეს იქ, რასაც გუშინ ფეხით სდგე ბოდნენ და ვინ იცის როგორ არ ლანძღავდნენ. ყოველივე ამის საკუთა რი თვალით დანახვის შემდეგ მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მოვშორდე ამ ხალხს და დაუბრუნდე ეროვ. დემ. პარტიასა და მის ინტერესების დამცველთა რიგებს.

შოთა გედევანიშვილი.

„ახალ ივერია"ს რედაქციას

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ ივლისის 9.ში ბავშთა წრის მიერ გამართულ აკაკის საღამოს ანგარიში,

სულ შემოვიდა 423 ფრანკი. აქედან დაიხარჯა ბუნდოვან სურათე- ბისა და ბინისათვის 255 ფრანკი, წრეს დარჩა 168 ფრანკი.

ბავშთა წრის ხელმძღვანელი: სოფიო კედია.

სარედაქციო კოლეგია.

რედაქციის მისამართი: **113, Quai de Javel. — PARIS (15e)**

Le Gérant : L. Saint Remy.

Imprimerie « PASCAL ». 13, rue Pascal. Paris (5).

ფასი 3 ფრანკი.

ა-523